შეთანხმება №1
ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანაზე

ქ. თბილისი 11 დეკემბერი 2017 წელი

ერთი მხრივ, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, წარმოდგენილი ცენტრის დირექტორის **გიორგი მაჩაბლის** სახით (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად") და მეორეს მხრივ, სსიპ ,,საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების თარგმნის ბიურო", წარმოდგენილი მისი დირექტორის ნიკოლოზ მემანიშვილის სახით წარმოდგენილი მისი დირექტორის ნიკოლოზ მემანიშვილის სახით (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად"), 2017 წლის 27 ნოემბერს გაფორმებული №01-03-245 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების 12.4 პუნქტის გათვალისწინებით, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიუროს მიერ გაწეული მომსახურების სახეების, ვადების, ამ მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობისა და გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2012 წლის 10 ივლისის N155 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, შევიდეს ცვლილება 2017 წლის 27 ნოემბერს გაფორმებული №01-03-245 დადებულ ხელშეკრულებაში, კერძოდ, შეიცვალოს ხელშეკრულების 3.2 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„შესასყიდი მომსახურების ღირებულება (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება") შეადგენს 45000 (ორმოცდახუთი ათასი) ლარს, მათ შორის:

1. 1-დან 15 გვერდამდე მოცულობის მქონე დოკუმენტის თარგმნა და ოფიციალური დამოწმება - 1 (ერთი) ნათარგმნი გვერდის ფასია 29.50 (ოცდაცხრა ლარი და 50 თეთრი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით);
2. 16-დან 50 გვერდამდე მოცულობის მქონე დოკუმენტის თარგმნა და ოფიციალური დამოწმება - (ერთი) ნათარგმნი გვერდის ფასია 27,14 (ოცდაშვიდი ლარი და 14 თეთრი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით);
3. 50 გვერდზე მეტი მოცულობის მქონე დოკუმენტის თარგმნა და ოფიციალური დამოწმება - (ერთი) ნათარგმნი გვერდის ფასია 27,14 (ოცდაშვიდი ლარი და 14 თეთრი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით).

მუხლი 2

ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები და დებულებები უცვლელია და მხარეები ადასტურებენ მათ მიმართ თავიანთ ვალდებულებებს, ისევე როგორც მთლიანად ხელშეკრულების მიმართ.

მუხლი 3

წინამდებარე შეთანხმება შედგენილია 4 (ოთხი) ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო სამი ინახება შემსყიდველთან.

მუხლი 4

შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე

მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	სსიპ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების თარგმნის ბიურო"
გიორგი მაჩაბელი	**ნიკოლოზ მემანიშვილი**
დირექტორი	დირექტორი